

ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის
N15 ბინის დარჩენილ წილზე, მოქალაქე ალექსანდრე ნუცუბიძისათვის
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ალექსანდრე ნუცუბიძის განცხადება /2011 წლის 01.11 N6-8681/, რითაც ითხოვს ბინის დარჩენილ წილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N15 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N15 ბინის დარჩენილ წილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ალექსანდრე ნუცუბიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N15 ბინის დარჩენილ წილზე /საერთო ფართობი 34,61 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,61 კვ.მ, დამხმარე ფართობი 6,80 კვ.მ./ მოქალაქე ალექსანდრე ნუცუბიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე